

დანაშაულის პროვოკაცია - პრობლემები და გამოწვევები ქართულ  
კანონმდებლობასა და პრაქტიკაში

მარიამ ნოზაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის*

*სამართლის სკოლის*

*სისხლისსამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის*

*აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან მესხორაძე, სამართლის დოქ.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2020

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ნოზაძე

20/06/2020.

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლით განსაზღვრული ქმედება - დანაშაულის პროვოკაცია და მასთან დაკავშირებული პრობლემები ქართულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში. აღნიშნულ თემასთან მიმართებით პრობლემური საკითხები ხშირად ყოფილა სხვადასხვა მკვლევარის კვლევის საგანი და უმეტეს შემთხვევაში მათ ერთიანი მიდგომა ჩამოყალიბებული არ აქვთ. დანაშაულის პროვოკაციის პრევენცია სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. თუმცა მიუხედავად მისი ასეთი მნიშვნელობისა, ქართულ სისხლისსამართლებრივ სისტემაში დანაშაულის პროვოკაციის პრევენციას არ ეთმობა სათანადო ყურადღება, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში იშვიათად მოიძებნება ისეთი გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ სათანადოდ განიხილა და დანაშაულის პროვოკაციის ფაქტი დაადგინა.

წინამდებარე ნაშრომში კვლევის ფარგლებში გამოყენებული იქნება ლიტერატურული წყაროები, რომლებშიც ქართველი პროფესორების მოსაზრებებია წარმოდგენილი. ასევე წარმოდგენილი იქნება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები და მოხსენებები. განხილული იქნება „ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების“ შესახებ საქართველოს კანონი და მასში არსებული უზუსტობები, რომლებიც ყველაზე დიდ პრობლემას ქმნის დანაშაულის პროვოკაციის პრევენციაში.

კვლევის ფარგლებში სიღრმისეულად დამუშავებული იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2018 წლის ივნისში გამოტანილი გადაწყვეტილება საქმეში „ჭოხონელიძე საქართველოს წინააღმდეგ“, სადაც სასამართლომ მთელი რიგი ხარვეზები დაუდგინა ქართულ სისხლისსამართლებრივ სისტემას. ამასთან ერთად განხილული იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და სხვა ევროპული ქვეყნების სასამართლოების მიერ მიღებული სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ადამიანის პროვოკაციის დადგენისა და პრევენციის სტანდარტების ჩამოყალიბებაში.

ნაშრომის კვლევის ფარგლებში დამუშავდება და შედარება მოხდება ზემოთ ჩამოთვლილი, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მასალა, რომელსაც ავტორი პრობლემური საკითხების წარმოსაჩენად და მათ გადასაწყვეტად გამოიყენებს, რომელსაც ნაშრომის ბოლოს რეკომენდაციის სახით შემოგვთავაზებს.

**საძიებო სიტყვები:** დანაშაულის პროვოკაცია, ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მუხლი 145, ჭოხონელიძის საქმე, დანაშაულის პროვოკაციის პრევენცია.